საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

ბრძანება № NHA 8 23 00106207

ქ. თბილისი 31/01/2023 **წელი**

მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებისთვის და ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებებისთვის გადაცემული COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტის „პაქსლოვიდის“ რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლების, ,,COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტის ,,პაქსლოვიდის'' განაწილებისა და COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებში გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 28 დეკემბრის №MOH 9 22 00000230 ბრძანების (შემდგომში-მინისტრის ბრძანება) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მესამე პუნქტის „ა“ და „ა.ა“ ქვეპუნქტების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 18 იანვრის № MOH 9 23 00051945 წერილის, სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 აგვისტოს №01-91/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დებულების მე–4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მინისტრის ბრძანების მე-3 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტის ,,პაქსლოვიდის'' რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი 1).

2. მინისტრის ბრძანების მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა სამედიცინო დაწესებულებებმა COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტის ,,პაქსლოვიდის'' რაოდენობრივი აღრიცხვა უზრუნველყონ დანომრილ, ზონარგაყრილ, სამედიცინო დაწესებულების ბეჭდით დამოწმებულ სპეციალურ ჟურნალში.

3. ბრძანების შესრულების კოორდინაცია და კონტროლი განახორციელოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ორგანიზაციული უზრუნველყოფის, მონიტორინგის, სამკურნალო და სამედიცინო საშუალებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსმა, თ. აზალაძემ.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თენგიზ გენძეხაძე